

6.2. საძირკვლები

საპაერო ეგზ-ის საყრდენებისთვის საძირკვლები შერჩეულია საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე. უნიფიცირებული საყრდენებისთვის საძირკვლებად გამოყენებულია ანაკრები რკინაბეტონის სოკოსებრი ბლოკები 7271TM ტიპური პროექტის მიხედვით.

რკინაბეტონის საძირკვლების ქვეშ ქვაბულის ფსკერის მოსასწორებლად პროექტი ითვალისწინებს 10-15 სმ სისქის ხრეშის ან ღორღის ფენილის მოწყობას გულმოდგინე დატკეპვით.

ქვაბულის შევსება წარმოებს 20÷30 სმ სისქის გრუნტის ფენების გულმოდგინე ჩატკეპვით.

უკუყრილის მოწყობისას მცენარეული გრუნტის გამოყენება კატეგორიულად დაუშვებელია.

საძირკვლის დაყენება უნდა მოხდეს ნახაზზე მოცემული ზომების ზუსტი დაცვით. დასაშვები გადახრები მითითებულია ნახაზზე.

საძირკვლებზე საყრდენის დგარების დაყენებისას (სახსარზე აწევის მომენტში) წარმოშობილი სამონტაჟო ჰორიზონტალური ძალების უგულველსაყოფად აუცილებელია საძირკველზე ხის ღრობითი საბრჯენების მოწყობა.

საძირკველზე ფოლადის საყრდენის დაყენებისა და საბოლოო დამაგრების შემდეგ საანკერო ჭანჭიკების საყელურები აუცილებლად უნდა შედუღდეს საყრდენის ქუსლის ფილასთან.

საძირკვლის დაყენებასთან დაკავშირებით ყველა სამუშაოები უნდა შესრულდეს საქართველოში მოცემულ ეტაპზე მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების (СНиП 3.02.01-87 და СНиП III-4-80*) მოთხოვნების დაცვით.

6.3 გაბიონი.

ჰიდროლოგის რეკომენდაციით №84, Y2+12 ტიპის, საანკერო-კუთხური საყრდენის დგარების შესაძლო დატბორვისაგან დასაცავად საჭიროა საყრდენის დგარების განლაგების ღერძის პარალელურად მოეწყოს გაბიონის